ევროკავშირი და საქართველო

# ვაჭრობის საკითხები

მე–4 გამოცემა 2013 წლის სექტემბერი

## შინაარსი

**DCFTA - ძირითადი თემები**

- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ მოლაპარაკებები დასრულდა 2

**თემა თვალის ერთი გადავლებით**

- შრომის სტანდარტები, მდგრადი განვითარება და ვაჭრობა 6
- შრომითი სტანდარტები ევროკავშირის სამომავლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან მიმართებაში 7

**იცოდით, რომ...**

- ვაჭრობის მიმართულებები საქართველოში:მეტი ექსპორტი და ნაკლები იმპორტი 8
- სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობა საქართველოში 10
- სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის ევროკავშირის მხარდაჭერამ უკვე გამოიღო მნიშვნელოვანი შედეგი 10

**ვაჭრობასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ღონისძიებები** 10

## ბარიერების მოხსნა და ბიზნესის სფეროში ახალი შესაძლებლობების ხელშეწყობა

2013 ივლისში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ მოლაპარაკების წარმატებით დასრულება დამსახურებული ჯილდოა იმ ძალისხმევისთვის, რომელიც ოფიციალურ მოლაპარაკებებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო.

მახსენდება ის განუხრელი მხარდაჭერა, რომელსაც ევროკომისია ტექნიკური დახმარების საშუალებით უწევდა თავის პარტნიორს, საქართველოს, ბოლო ათი წლის განმავლობაში. საქართველოს მოლაპარაკებებისთვის მოსამზადებლად ევროკავშირს არც ფინანსური ხარჯები დაუზოგავს და წევრი სახელმწიფოების საუკეთესო ტექნიკური ცოდნის მობილიზებაც მოახდინა, რომ საქართველოს პროდუქციის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანასა და მომხმარებელთა უსაფრთხოების გაზრდაში დახმარებოდა.

მოსალოდნელია, რომ შეთანხმების სრულად განხორციელება და შემცირებული ტარიფები მოიტანს დანაზოგებს, როგორც ევროპული, ისე ქართული კომპანიებისთვის. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება გულისხმობს უკეთეს და სტაბილურ ეკონომიკურ და სამართლებრივ პირობებს, რომელიც გააუმჯობესებს ვაჭრობას და გაზრდის საინვესტიციო ნაკადებს ორ რეგიონს შორის.

ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენს ურთიერთობებში, რომელიც გზას უხსნის უფრო მჭიდრო ინტეგრირებას ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორთა ოჯახს შორის. ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმების მიზანი აღსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში რეგიონული ინტეგრირების ხელშეწყობაა.

**მიხაელ კოელერი,**
**დირექტორი,**
**ევროკავშირის სამეზობლოს განვითარებისა და თანამშრომლობის დირექტორატი**

# ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ მოლაპარაკებები დასრულდა

*მ. ჯანელიძე, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე*

*ფილიპ კუისონი, ვაჭრობის დირექტორატი E (სამეზობლო ქვეყნები, აშშ და კანადა) – განყოფილების მოადგილე (რუსეთი, დსთ, უკრაინა, დასავლეთ ბალკანეთი, EFTA, EEA და თურქეთი).*

2013 წლის 22 ივლისს საქართველომ და ევროკავშირმა დაასრულეს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ მოლაპარაკებები, რომელიც ასოცირების შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების ფარგლებში იმართებოდა. ეს შეთანხმებები ევროკავშირთან ახლო პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრირების საფუძველს ქმნის.

ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ მოლაპარაკებები 17 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. შედგა შვიდი რაუნდი. თავისუფალი სავაჭრო სივცე საშუალებას მისცემს საქართველოს, საქონელი და მომსახურება უფრო იოლად შეიტანოს ევროკავშირის ბაზარზე, ასევე, გაზრდის მომხმარებელთა უსაფრთხოებას. მოსალოდნელია, რომ ეს შეთანხმება ღია, სტაბილური და წინასწარ განჭვრეტადი გარემოს ხელშეწყობის გზით, გზას გაუხსნის პირდაპირი ინვესტიციების საქართველოში შემოსვლას.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ასოცირების შესახებ შეთანხმებაში გაერთიანდება და მას ევროკავშირისა და საქართველოს შიდა პროცედურების დასრულებისთანავე მოეწერება ხელი.

## ინტერვიუ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ მოლაპარაკებების ხელმძღვანელთან

მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, გადავწყიტეთ, გვერდიგვერდ დაგვესვა მოლაპარაკებების ხელმძვანელები ფილიპ კუისონი და მიხეილ ჯანელიძე და ერთი და იგივე შეკითხვები დაგვესვა მათთვის და გვენახა, რა გამოგვივიდოდა...და აი, შედეგიც:

***შეკითხვა: თქვენ, როგორც მოლაპარაკებებზე პასუხისმგებელ პირს, რა მიზანი გქონდათ მოლაპარაკებების დაწყებისას?***

**კუისონი:** ევროკავშირის მიზანი ისეთი შეთანხების დადება იყო, რომელიც საქართველოს დაეხმარებოდა საექსპორტო მაჩვენებლების გაზრდაში, მმართველობასა და ვაჭრობასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების მოგვარებაში, რომელიც ხელს უშლის ქვეყანას, დღესვე ისარგებლოს ევროკავშირი ბაზარზე შესვლის შესაძლებლობით.

ეს არ არის ახალი საკითხი; ის ჯერ კიდევ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის 2006 წლის სამოქმედო გეგმაში იყო გათვალისწინებული.

საქართველოსთან მოლაპარაკებების დაწყებამდე მე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ მოლაპარაკებებს უკრაინასთან ვაწარმოებდი. მინდოდა ვრცელი, მაგრამ დაბალანსებული შეთანხმების მიღწევა, ორივე მხარის სასარგებლოდ. საქართველოსთან მიღწეული შეთანხმება არამარტო უკრაინის შეთანხმებას ჯობს, არამედ, პოტენციურად ერთ–ერთი ყველაზე ამბიციური შეთანხმებაა, რაც კი ევროკავშირს ოდესმე დაუდია.

> ევროკავშირის მიზანი ისეთი შეთანხების დადება იყო, რომელიც საქართველოს დაეხმარებოდა საექსპორტო მაჩვენებლების გაზრდაში, მმართველობასა და ვაჭრობასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების მოგვარებაში, რომელიც ხელს უშლის ქვეყანას, დღესვე ისარგებლოს ევროკავშირის, ბაზარზე შესვლის შესაძლებლობით.
>
> *ფოტო ფილიპ კუისონი*

**ჯანელიძე:** საქართველოს მთავრობის ძირითადი ამოცანა გრძელვადიან მიზნებზე გათვლილი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა იყო, გამჭვირვალე წესებით, რომელიც შექმნიდა გრძელვადიან, პროგნოზირებად და სასარგებლო პირობებს ქართული პროდუქტებისა და სერვისების ექსპორტიორებისთვის; ასევე, შექმნიდა მტკიცე საფუძველს ევროკავშირში სამომავლო ეკონომიკური ინტეგრირებისთვის. ამ პროცესში, ჩემთვის, როგორც მოლაპარაკებების მთავარი ფიგურისთვის, ძირითადი ამოცანა იყო მოლაპარაკებების წარმართვა საქართველოს საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. დაბოლოს, ვფიქრობ, რომ ჩვენ მივედით დაბალანსებულ შეთანხმებამდე, რომელიც დიდ შესაძლებლობებს გაუხსნის კერძო სექტორს.

საქართველოს მთავრობის ძირითადი ამოცანა გრძელვადიან მიზნებზე გათვლილი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა იყო, გამჭვირვალე წესებით, რომელიც შექმნიდა გრძელვადიან, პროგნოზირებად და სასარგებლო პირობებს ქართული პროდუქტებისა და სერვისების ექსპორტიორებისთვის; ასევე, შექმნიდა მტკიცე საფუძველს ევროკავშირში სამომავლო ეკონომიკური ინტეგრირებისთვის

*მ. ჯანელიძე*

***შეკითხვა: თავისუფალი სავაჭრო სივრცე სავსებით ნათელი და ფართოდ გავრცელებული ტექნიკური ცნებაა. უფრო ვრცლად ხომ არ ისაუბრებდით ამ ორი ზედსართავის – ღრმა და ყოვლისმომცველი – შესახებ?***

**კუისონი:** ევროკავშირმა დიდი ხანია გაცნობიერა, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი სივრცე არ აგვარებს ისეთ საკითხებს, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენად სწრაფად ან კარგად შეიძლება განვითარდეს ქვეყნებს შორის ვაჭრობა. ეს საკითხები უშუალოდ ვაჭრობასთან არ არის დაკავშირებული და არ გულისხმობს მხოლოდ საზღვრებზე პროცედურების მოგვარებას (მაგალითად, დოკუმენტაციას, ინსპექტირების პროცედურებს ან იმ მოსაკრებლის ოდენობას, რომელსაც საბაჟო ითხოვს). საუბარია ბევრ ფარულ ხარჯზე, რომელიც საქონლის დამზადებასთან თუ წარმოებასთანაა დაკავშირებული, მაგ. ინფრასტრუქტურის და ტრანსპორტირების ხარჯი, სხვადასხვა ნორმები, რომელიც პროდუქტმა უნდა დააკმაყოფილოს სხვადასხვა ქვეყანაში – ტექნიკური თუ სანიტარული (ადამიანის თუ ცხოველის მიერ მოხმარებაზე დაწესებული). აქ იგულისხმება საკითხები, რომელიც შეეხება სასამართლოსთვის მიმართვის უფლების თავისუფლად გამოყენებას, ინოვაციული ნოუ–ჰაუს დაცვას, უცხოური კომპანიების მიერ შიდა ბაზარზე წვდომას და კონკურენციის წესების განმტკიცებას. ეს შეიძლება დიდი ხარჯები იყოს, იმაზე დიდი, ვიდრე საიმპორტო მოსაკრებელი, რომელიც ყოველწლიურად იკლებს, განსაკუთრებით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობაში. სერვისებით ვაჭრობა შიდა ბარიერების მიმართ უფრო მგრძობიარეა, ვიდრე სასაზღვრო ბარიერების მიმართ.

ევროკავშირი პარტნიორებთან ყოვლისმომცველ სივრცეზე აწარმოებს მოლაპარაკებებს და მიზანი სწორედ ზემოხსენებული საკითხების დარეგულირებაა. ამასთან, საქართველოსთან შეთანხმება ღრმაა, რადგან ქვეყანამ გადაწყვიტა დაკავშირებოდა ევროკავშირს, რაც ნიშნავს, რომ მან უნდა მოახდინოს შიდა პოლიტიკის რეგულირება ისე, როგორც ამას ევროკავშირი აკეთებს. ევროკავშირისა და საქართველოს შორის ურთიერთობის სიღრმე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მოახდენს საქართველო ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებას. ეს შესაძლებლობას მისცემს საქართველოს კომპანიებს შევიდნენ ევროკავშირის ბაზარზე, გაიზრდება ევროკავშირის ბაზარზე გასატანი პროდუქციის ნუსხა (ქართული ყველი, ხორცი); მომხმარებლისთვის პროდუქციის ფასი შემცირდება და ხარისხი გაიზრდება, მოხდება პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა, რადგან წესები ევროკავშირის წესების მსგავსი იქნება. ასევე, მოსალოდნელია, რომ კანონები და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები იქნება ინკლუზიური და გამჭვირვალე, როგორც ევროკავშირში, სადაც სამოქალაქო საზოგადოება აზრის გამოხატვის გზით მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

**ჯანელიძე:** თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ზოგად შეთანხმებასა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივცის შესახებ შეთანხმებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. თუკი პირველი, ძირითადად, საქონლით ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებული ტარიფების ლიბერალიზებას გულისხმობსა, ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზებასა და ვაჭრობასთან დაკავშირებული სფეროების (მაგ. სანიტარული და ფიტოსანიტარული; ინტელექტუალური საკუთრება, სატარიფო ბარიერები, საბაჟო, სახელმწიფო შესყიდვები, კონკურენცია) საკანონმდებლო დაახლოებას ითვალისწინებს. დაახლოების პროცესი შესაძლებლობას იძლევა, დაძლეულ იქნას არასატარიფო ბარიერები, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ბევრად უფრო მეტად ზღუდავს ვაჭრობას, ვიდრე ტარიფები. წარსულში საქართველოს არ ჰქონდა ასეთი ფართო მასშტაბის ინტეგრაციის გამოცდილება, რადგანაც ყველა ჩვენი სავაჭრო შეთანხმება (მაგ. თურქეთთან, დსთ–თან), ძირითადად, საქონლით ვაჭრობის ლიბერალიზებაზე იყო ორიენტირებული.

მიუხედავად იმისა, რომ არ არის იოლი ევროკავშირის სახელმწიფოებში მოქმედი რეგულაციების საქართველოში შემოტანა, თვითონ პროცესი იმ სახელმწიფო ინსტიტუტების მოდერნიზაციისთვისაა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რომელიც სავაჭრო პოლიტიკის საკითხებში არიან ჩართულნი. თანდათანობით უნდა მოხდეს მათი ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება. ეს კი ხელს შეუწყობს უფრო პროგნოზირებადი ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით ევროპელი ინვესტორებისთვის იმისთვის, რომ სრულად იქნას ხელმისაწვდომი ბაზარი, ხოლო ეკონომიკური ინტეგრაციიდან სრული სარგებელი იქნას მიღებული. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ასოცირების შეთანხმების ნაწილია, მეტ პოლიტიკურ ელფერს სძენს მას და გულისხმობს მხარეების მიერ ძირითადი ეკონომიკური და პოლიტიკური პრინციპების გაზიარებას.



***შეკითხვა: სხვა ქვეყნებთან ევროკავშირის მოლაპარაკებებთან შედარებით ევროკავშირსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებები ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა (სულ 17 თვე). რატომ? ნაკლები რამ იყო მოსალაპარაკებელი? მომლაპარაკებლების დამსახურება ხომ არ იყო ეს თუ ათვლის წერტილი იყო განსხვავებული?***

**კუისონი:** ნაკლები რამ ნამდვილად არ იყო მოსალაპარაკებელი. მე ვიტყოდი, რომ უფრო მეტიც ვილაპარაკეთ, ვიდრე სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, ასევე იყო უკრაინასთან, მოლდოვასა და სომხეთთან. სწრაფი მოლაპარაკებები მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ დიდი იყო მონდომება ორივე მხრიდან. უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო კარგად იყო მომზადებული მოლაპარაკებებისთვის, რადგან მოლაპარაკებების დაწყებამდე, ევროკავშირის რეკომენდაციების საფუძველზე, საქართველომ მოსამზადებელი პროცესი გაიარა. ამ ფაზას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მოლაპარაკებების წარმატებისთვის.

**ჯანელიძე:** ძირითადი მიზეზი მოლაპარაკებების სწრაფი დასრულებისა იყო პოლიტიკური ნება და ორივე მხარის მზადყოფნა. საქართველომ მნივნელოვანი სამუშაო ჩაატარა მოლაპარაკებების დაწყებამდე, რაც გულისხმობდა სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებას იმ ძირითად სფეროებში, რომელიც ევროპულმა მხარემ მნიშვნელოვან სფეროებად მიიჩნია. ბოლო წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ რეფორმების დღის წესრიგის ყველა დარჩენილი საკითხი გადაჭრა და, ამავდროულად, ჩვენ შევთანხმდით, რომ ხარისხობრივ ჭრილში დავაჩქარებდით მოლაპარაკებების პროცესს, რაც გულისხმობდა მოლაპარაკებების დაჩქარებას მათი ხარისხისა თუ რომელიმე მხარის ინტერესისთვის ზიანის მიყენების გარეშე. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ მოლაპარაკებაზე პასუხისმგებელ ორ გუნდს შორის მიმდინარე ღია და გულწრფელი დისკუსია დაგვეხმარა ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებასა და ისეთი საბოლოო შედეგის მიღწევაში, რომელიც ორივე მხარისთვის იყო მისაღები.

***შეკითხვა: როგორ ფიქრობთ, მომავალში საქართველოს ეკონომიკური სექტორი მზად იქნება დაუყოვნებლივ გამოიყენოს ის ახალი შესაძლებლობები, რომელსაც მას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე სთავაზობს?***

**კუისონი:** როდესაც სექტორი ხედვისა და ინვეტიციების ნაკლებობას განიცდის ან არ არის კონკურენტუნარიანი შიდა ბაზარზე, არ არის ადვილი ვაჭრობის სტილის შეცვლა და ქვეყნის გარეთ არსებულ კონკურენციაში ჩართვა. საქართველოს ძალზე სწრაფი სარგებლის მიღება შეუძლია სხვადასხვა სფეროში სერვისების ექსპორტიდან, მაგრამ მაღალი ხარისხის საქონლის წარმოებამდე საკმაოდ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. ევროკავშირის ბაზარზე თავისუფალი შესვლა, რასაკვირველია, სხვადასხვა სექტორს ზრდაში დაეხმარება. სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ზრდის პოტენციალი ნამდვილად არსებობს, თუმცა აუცილებელია რეფორმების გატარება.

**ჯანელიძე:** 2012 წელს Ecorys-Case კონსორციუმის მიერ ჩატარებული მდგრადი ვაჭრობის შედეგების შეფასების მიხედვით გამოიყო სექტორები, რომელსაც განვითარების ყველაზე მეტი პოტენციალი აქვს, ესაა ქიმიური მრეწველობა, ლითონები, მანქანათმშენებლობა და ტექნიკა. მთავრობა მოელის, რომ შეიქმნება ახალი შესაძლებლობა ინვესტიციების მოსაზიდად ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოო სექტორებში, რომლებისთვისაც მიმზიდველი გახდება ევროპაში ექსპორტი. ამიტომ, საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად, ჩვენ ვაწარმოებს ამ კონკურენტუნარიანი სექტორების ღრმა ანალიზს იმისთვის, რომ ვიპოვოთ გზები საინვესტიციო ნაკადების მოსაზიდად, ახალი ტექნოლოგიებისა და ნოუ–ჰაუს და და საქართველოში მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის საწარმოებლად.

მიგვაჩნია, რომ სასოფლო–სამეურნეო სექტორს უფრო გრძელვადიანი დახმარება და მხარდაჭერა დასჭირდება. ეს საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი სექტორია არამარტო მისი დიდი საექსპორტო პოტენციალის, არამედ სოციალური მნიშვნელობის გამო. დღეისათვის საქათრველოს შრომითი ბაზრის ნახევარი სოფლის მეურნეობაშია ჩაბმული. ეს ერთ–ერთი ის სექტორია, სადაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივცის შესახებ შეთანხმება მნიშვნელოვან ცვლილებებს მოიტანს. ევროკავშირთან ამ შეთანხმების ხელმოწერა სერიოზული რეფორმებისა და ცვლილებების გატარებას მოითხოვს და შექმნის მყარ სურსათის უსაფრთხოების სისტემას, შესაბამისი ვეტერინარული, სანიტარული და ფიტოსანიტარული წესებისა და პროცედურების ჩათვლით. მთავრობა მოელის, რომ ქართული ბიზნესის ახალ წესებთან და პროცედურებთან ადაპტირებას გარკვეული დრო დასჭირდება სანამ ბიზნესი ახალი შესაძლებლობებით სარგებლობას შეძლებს.

***შეკითხვა: კონკურენციის სამართლიანი წესები, გასაგები კანონმდებლობა, ბაზარზე შესვლის გამარტივება, ხარისხიანი ინფრასტრუქტურა, ბაზრის მონიტორინგი და დავების გადაჭრა ის ძირითადი ელემენტებია, სხვებთან ერთად, რომელიც ინვესტორისთვის ნებისმიერ ბაზარს მიმზიდველს ხდის. რა ეტაპზეა საქართველო ამ საკითხებთან მიმართებაში?***

**კუისონი:** საქართველომ ბევრი რამ გააკეთა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი სფერო რჩება ისეთი, სადაც მმართველობა გასაუმჯობესებელია. საქართველოს წინა და დღევანდელმა ხელისუფლებამ ბევრი გააკეთა ინვესტიციების მოსაზიდად – გაამარტივა საბაჟო პროცედურები საზღვრებზე, შეამცირა კორუფცია, გასაგები გახადა კონკურენციის წესები. ეს უდაო წარმატებაა და აუცილებელია სწორი მმართველობის წესების დანარგვისთვის. დღეს არსებული გამოწვევები მოითხოვს ეკონომიკის ძირითადი საფუძვლების განმტკიცებას, ისეთი დარგების განვითარებას, რომელიც საქართველოს პოტენციალს შეესაბამება და უზრუნველყოფს ეკონომიკის სტაბილურ ზრდასა და სამუშაო ადგილებს, მათ შორის, ვაჭრობის სამუალებით. ეს ბევრად უფრო რთული ამოცანაა, თუმცა იმედი გვაქვს, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის საშუალებით ევროპიდან და სხვა

ქვეყნებიდან შემოსული ინვესტიციები დაეხმარება საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზებაში და სტაბილური მმართველობის წესების შემოღებაში, ეს კი  შესაძლებელს გახდის გრძელვადიან დაგეგმვას, რაც აუცილებელია ეკონომიკური ზრდისთვის.

**ჯანელიძე:** საქართველოში ლიბერალური ბიზნეს გარემოა და ღია საინვესტიციო პოლიტიკა; არის ბიზნესის ხელშემწყობი ეფექტიანი სამოქალაქო სამსახურები, საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების სისტემები. ეს ყველაფერი საქართველოს ინვესტორებისთვის მიმზიდველს ხდის, თუმცა, საქართველოს ახალი მთავრობის მიზანი ქონებრივი უფლებების მტკიცე დაცვა, თავისუფალი და სამართლიანი კონკურენტული გარემოს შექმნა, კერძო საარბიტრაჟოს შექმნის გზით დავების გადაწყვეტის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, კაპიტალის ბაზრის განვითარება და სხვა ფინანსური მექანიზმებისა და ადამიანური კაპიტალიის შექმნაა. ამასთან, ჩვენ მტკიცედ გვსურს ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულება სავაჭრო პოლიტიკის ისეთ სფეროებში, როგორიცაა, მაგალითად სასურსათო უზრუნველყოფა, ხარისხის ინფრასტრუქტურა, ინტელექტუალური საკუთრება და სხვა. პოლიტიკის და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებასთან ერთად ვაგრძელებთ ინფრასტრუქტურული პროექტების  შემუშავებას, რაც ინვესტირების მოზიდვის უმნიშვნელოვანესი შემადგენელია. ყველა ზემოხსენებულმა რეფორმამ და საქმიანობამ საქართველო უნდა გახადოს საუკეთესო ადგილი რეგიონში საინვესტიციო პროექტების განხორცილებისთვის.

***შეკითხვა: ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივცე ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების განუყოფელი ნაწილია. ხომ ვერ შევძლებდით მოკლედ აგეხსნათ კავშირი შეთანმხების  ამ ორ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგენელებს შორის?***

**კუისონი:** ევროკავშირთან ასოცირება ყოვლისმომცველია– პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა ურთიერდაკავშირებულია და ერთმანეთს ეხმარება. ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია სტაბილური პოლიტიკური და გადაწყვეტილებების მიმღები სტრუქტურების გარეშე; ვერ ჩამოყალიბდება პოლიტიკური სტაბილურობა, თუკი ქვეყანა არ არის სათანადოდ განვითარებული, ხოლო მოქალაქეებს არ აქვთ შესაძლებლობა, თავიანთი პოტენციალი განახორციელონ. ეს ორი რამ განუყოფელია.

**ჯანელიძე:** ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების გაზიარების გარეშე საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია შეუძლებელია შესაბამისი პოლიტიკური საფუძვლის; სრული პოლიტიკური ასოცირების მიღწევა თითქმის შეუძლებელი იქნება ეკონომიკური განვითარების შესაბამისი დონის გარეშე. ევროპული ოჯახის წევრობისთვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ დაიცვას დემოკარტია, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებელებები. ამ პოლიტიკური საფუძვლების გარეშე ძალიან რთული იქნება ღრმა ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევა. სწორედ ეს აკავშირებს ერთმანეთთან ეკონომიკურ და პოლიტიკურ კომპონენტებს.

***შეკითხვა: ახლა, როცა მოლაპარაკებები დასრულდა, რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას ევროკავშირისა და საქართველოს მხრიდან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივცის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლამდე?***

**კუისონი:** ევროკავშირი და საქართველო ამჟამად  ტექსტს ხელმოსაწერად ამზადებენ. ეს კი მოითხოვს ტექსტის ძალზე გულდასმით გავლას და მის იურიდიულ გამართვას, ორივე მხარის მიერ დადასტურებას, ქართულად და ევროკავშირის 24 ოფიციალურ ენაზე თარგმნას. ტექსტს ორივე მხარემ უნდა  მოაწეროს ხელი და ის ორივე მხარის პარლამენტებმა უნდა დაამტკიცონ. ჩვენი მიზანია, შევძლოთ შეთანხმების წინასწარ გამოყენება ხელმოწერისთანავე, სანამ მოხდება მისი რატიფიცირება (ევროპარლამენტისა და ევროკავშირის 28 სახელმწიფოს პარლამენტის მიერ). ევროკავშირს სურს, რომ საქართველომ ისარგებლოს შეთანმხებით რაც შეიძლება მალე, მიუხედავად იმ სირთულეებისა, რომელიც ევროკავშირის 28 სახელმწიფოში არსებულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს ახლავს.

**ჯანელიძე:** რაც შეეხება პროცესის ტექნიკურ ნაწილს ევროკავშირიც და საქართველოც დღეს ტექსტის იურიდიული დახვეწის პროცესს გადიან. შემდგომი ნაბიჯები უნდა იყოს შეთანხმების ტექსტის პარაფირება, მისი თარგმნა და ხელმოწერა. შემდეგ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე წინასწარ შევა ძალაში, რადგან ასოცირების შეთანმხების პოლიტიკური ნაწილისგან განსხვავებით, მას არ სჭირდება ევროკავშირის ქვეყნების პარლამენტების მიერ რატიფიცირება.  რაც შეეხება საქართველოს, ქვეყანა განაგრძობს დაგეგმილი რეფორმების განხორციელებას ყველა იმ სფეროში, რასაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს.

# შრომის სტანდარტები, მდგრადი განვითარება და ვაჭრობა

სხვადასხვა პარტნიორთან ერთად ევროკავშირი განაგრძობს ვაჭრობის ლიბერალიზებაზე მიმართულ საქმიანობას მთელს მსოფლიოში ვაჭრობის ხელშეწყობის, სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდის მიზნით. ევროკავშირის მიზანი, ასევე, საერთაშორისო ვაჭრობის გზით მდგრად განვითარებაში წვლილის შეტანა და იმის უზრუნველყოფაა, რომ ეკონომიკურმა ზრდამ, სოციალურმა განვითარებამ და გარემოს დაცვამ ევროკავშირსა და მის პარტნიორებში დღევანდელტ და მომავალი თაობებისთვის სარგებელი მოიტანოს.

ამ კონტექსტში აშკარაა, რომ არსებობს ურთიერთკავშირი ერთის მხრივ ვაჭრობასა და, მეორეს მხრივ, დასაქმებას შორის. ამიტომ, ევროკავშირი ცდილობს მეტად განავითაროს ვაჭრობა და ინვესტიციები და ამავდროულად, მკაცრად დაიცვას ძირითადი შრომითი სტანდარტები და უზრუნველყოს ღირსეული სამუშაო ყველასთვის. თუკი მოსალოდნელია, რომ ვაჭრობა და ინვესტიციები უზრუნველყოფს ზრდას და შექმნის სამუშაო ადგილებს, მათი განვითარება არ უნდა მოხდეს ინდივიდუალური თუ კოლექტიური შრომითი უფლებების დაკნინების ხარჯზე.

ევროკავშირი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ და მისმა ხელისუფლებამ აქტიური როლი უნდა ითამაშონ ვაჭრობასა და შრომით უფლებებში და დააწესონ შესაბამისი სტანდარტები იმისთვის, რომ ეს უფლებები ეფექტურად იქნას განხორციელებული. მათ, ასევე, შეუძლიათ სტიმული მისცენ კომპანიებს, რომ შრომის სტანდარტებთან და სამუშაო პირობებთან მიმართებაში პასუხისმგებლობით აღსავსე პრაქტიკა გამოიყენონ.

## რატომ არის ეს თემა მნიშვნელოვანი ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში?

ევროკავშირი მკაცრად ასრულებს ამ სტანდარტებს თავის შიდა პოლიტიკაში და უზრუნველყოფს, რომ პარტნიორმა ქვეყნებმა გაიზიარონ ეს მიზანი, გაატარონ აუცილებელი ზომები „ღირსეული სამუშაო დღის წესრიგის“ ცხოვრებაში გასატარებლად. ევროკავშირი თავის საზღვრებში და მის გარეთაც ხელს უწყობს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების რატიფიცირებას და განხორციელებას; ცდილობს აღასრულოს ისინი კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, ასევე, ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების ტერიტორიებზე შექმნილი საწარმოების მუშაობაში. საქართველომ უკვე მოახდინა რატიფიცირება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური კონვენციებისა და მათი განცორციელების ვალდებულება აიღო, რადგან ეს პრეფერენციების ზოგადი სისტემით გათვალისწინებული სწორი მმართველობის ვალდებულებითაცაა გათვალისწინებული.

ამასთან, საქართველომ და ევროკავშირმა დაიწყეს მოლაპარაკებები მეტი ჩართულობისა და ასოცირებულ პარტნიორობისთვის. ევროკავშირმა შესთავაზა საქართველოს შეთანხმება ვაჭრობასა და მდგრადი განვითარების შესახებ თავზე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში. ამ თავის ერთ–ერთი მიზანი იქნება ფუნდამენტური უფლებებისა და პრინციპების დანერგვა შრომის პროცესში და „ღირსეული სამუშაო დღის წესრიგის“ დანერგვა ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებულ ორმხრივ ურთიერთობებში, ასევე თანამშრომლობა ამ მიმართებით შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში.

* იხ: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები *ILO Conventions*

***რა არის შრომითი სტანდარტი?***
ევროკავშირი მტკიცედ იცავს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 185 წევრის მიერ მიღებულ ,,ღირსეულ სამუშაო დღის წესრიგს“, რადგან ის ადგენს აუცილებელ ელემენტებს, რომელიც აუცილებელია მდგრად განვითარებაში წვლილის შესატანად. დღის წესრიგში დიდი ყურადღება ეთმობა ქვეყანაში ისეთი პირობების შექმნას, რომელიც ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნასა და უნარების განვითარებას. ის, ასევე, ხაზგასმით აღნიშნავს შრომის ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების დაცვის აუცილებლობას. ის მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, რომ უზრუნველყონ მმრომელთა და დამსაქმებელთა მონაწილეობა პოლიტიკის განვითარებასა და სამუშაო პირობების დამკვიდრებაში. ასევე, ხაზს უსვამს სოციალური დაცვის უფლების მნიშვნელობას.

ევროკავშირი აღიარებს, რომ სამუშაო პირობებს შორის სხვაობა და დასაქმებულთა დაცვის დონე მთელს მსოფლიოში დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპთან და შეუძლია გავლენა იქონიოს სავაჭრო ნაკადებსა და საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე. ევროკავშირი, ასევე იზიარებს შეხედულებას, რომ შრომის ფუნდამენტური პრინციპების და უფლებების დარღვევა ვერ ჩაითვლება რომელიმე ქვეყნის კანონიერ უპირატესობად. უფრო მეტიც, თუკი მოკლევადიან პერსპექტივაში შრომის დაბალი სტანდარტი ინვესტირებისა თუ ვაჭრობისთვის მიმზიდველი ფაქტორია, მას შეუძლია საფრთხე შეუქმნას გრძელვადიან მდგრად განვითარებას. ამიტომ, ვაჭრობასა და საინვესტიციო შეთანხმებებზე მოლაპარაკებების პროცესში, ევროკავშირი რეკომენდაციას აძლევს პარტნიორ ქვეყნებს, არ შეამცირონ შრომის დაცვის სტანდარტები და იზრუნონ მათ ამაღლებაზე.

***ვინ ადგენს სტანდარტებს?***
მესამე ქვეყნებთან მიმართებაში ევროკავშირი ხელს უწყობს შრომის საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ არის შემოღებული, განსაკუთრებით რვა ფუძემდებლურ კონვენციას . ეს კონვენციები ,,ღირსეული სამუშაო დღის წესრიგის“ მთავარი შემადგენელია; მათი მიზანია იძულებითი შრომის და ბავშვთა შრომის აღმოფხვრა, შეკრების თავისუფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკების ხელშეწყობა და დასაქმებაში არადისკრიმინაციის უზრუნველყოფა, ანაზღაურების ჩათვლით.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ეხმარება წევრ სახელმწიფოებს, საქართველოს ჩათვლით, ამ კონვენციების რატიფიცირებასა და მათ ეფექტურ განხორციელებაში იმისთვის, რომ მშრომელებმა შეძლონ ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობა მთელს მსოფლიოში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ეხმარება ქვეყნებს, დაძლიონ ,,ღირსეული სამუშაო დღის წესრიგის“ განხორციელებისას აღმოჩენილი ნაკლოვანებები.

# შრომითი სტანდარტები ევროკავშირის სამომავლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან მიმართებაში

ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცეში ჩართვით ევროკავშირი და საქართველო თანხმდებიან ვაჭრობის ზომიერ ლიბერალიზებაზე, რაც იცავს დასაქმებულებს და ეხმარება მათ, სოციალური განვითარების გათვალისწინებით, შექმნან ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძველი. სწორედ ამიტომ იღებენ ისინი ვალდებულებას, შეასრულონ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები და არ გადაუხვიონ შესაბამის შრომის კანონებს ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის პროცესში. ისინი, ასევე თანხმდებიან ხელი შეწყონ მათ ტერიტორიაზე მოქმედ კომპანიებს, პასუხისმგებლობით განახორციელონ საქმიანობა. ამას გარდა, ევროკავშირი და საქართველო ინარჩუნებენ უფლებას შეიმუშავონ კანონები და პოლიტიკა მათ ქვეყნებში არსებული სიტუაციისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად.

***რა ეტაპზე იმყოფება საქართველო?***
ვარდების რევოლუციის შემდეგ შრომის სტანდარტების მიმართ საქართველოს საკმაოდ ლიბერალური მიდგომა ჰქონდა. ქვეყანაში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკური ზრდისა და ბიზნესისთვის შესაბამისი პირობების შექმნას. თუმცა, საქართველომ რატიფიცირება მოახდინა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რამდენიმე კონვენციისა, რომელიც დასაქმებულის უფლებების მინიმალურ სტანდარტს აწესებს, შეკრების თავისუფლების ჩათვლით.

თუმცა, წლების განმავლობაში გამოჩნდა, რომ შესაბამისი ვალდებულებების განხორციელება არ იყო უმტკივნეულო და მას დასაქმებულთა და დამსაქმებელთა შორის დაძაბულობა მოჰყვა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შედეგად 2013 წელს საქართველომ გადახედა შრომის კოდექსს, როგორც საერთაშორისო ვალდებულებების ძირითად საკანონმდებლო ბაზას. ევროკავშირმა მოიწონა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პოზიტიური დასკვნა საქართველოს შრომის კოდექსის შესახებ და მიიჩნია ის მნიშვნელოვან ნაბიჯად საქართველოს მდგრადი განვითარებისთვის. ამ ცვლილების წარმატების საწინდარი იქნება შესწორებული შრომის კოდექსის განხორციელება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების შესაბამისად.

# ვაჭრობის მიმართულებები საქართველოში:მეტი ექსპორტი და ნაკლები იმპორტი

2013 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში შარშანდელ იმავე პერიოდთან შედარებით საქართველოს საერთო ვაჭრობა 3.1%–ით შემცირდა. კერძოდ, გაიზარდა ექსპორტი 8.6%–ით, მაშინ როცა შემცირდა იმპორტი 6.6%–ით. შესაბამისად, მთლიანი სავაჭრო დეფიციტი შემცირდა 13.3%–ით (წყარო–გეოსტატი).

## საქართველოს სავაჭრო პარტნიორების % წილი ექსპორტში

January-June 2013




ექსპორტი
საქართველოს ძირითადი საექსპორტო პარტნიორები არიან: აზერბაიჯანი (26.9% წილი), სომხეთი (11.4%), აშშ (6.9%) და თურქეთი (6.6%).
ევროკავშირის ქვეყნებს შორის ძირითადი პარტნიორი ექსპორტში იყო ბულგარეთი (3.5%–იანი წილი), იტალია (2.9%) და (1.9%).

## საქართველოს სავაჭრო პარტნიორების % წილი იმპორტში

January-June 2013




იმპორტი
ძირითადი პარტნიორები იმპორტში არიან: თურქეთი (17.6%–იანი წილი), ჩინეთი (8.2%) და აზერბაიჯანი (7.9%).
ევროკავშირის ქვეყნებს შორის ძირითადი პარტნიორები არიან გერმანია (6.2%–ის წილი); რუმინეთი (3.9%) და იტალია (3.2%).

## საერთო ვაჭრობა

საქართველოს ძირითადი პარტნიორები საერთო ვაჭრობაში **2013** წლის პირველი ნახევრის განმავლობაში არიან თურქეთი **(14.7%)**, აზერბაიჯანი **(12.9%)** და უკრაინა **(7.2%)**. ევროკავშირის **28** ქვეყანას შორის საქართველოს ძირითადი პარტნიორები არიან გერმანია **(4.8%–**ის წილი**)**; შემდეგ, იტალია და ბულგარეთი (ორივე **3.1%–**იანი წილი) და რუმინეთი **(2.9%)**.

## ევროკავშირის ორმხრივი შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ

ევროკავშირს აქვს პრეფერენციული სავაჭრო სისტემა 45 ქვეყანასთან; მიმდინარეობს მოლაპარაკება და დასრულების სტადიაშია შეთანხმებები 96 ქვეყანასთან

# სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობა საქართველოში

2013 წლის აგვისტოში საქართველომ დაამტკიცა საქართველოს კანონი სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, რომელიც ევროპის საუკეთესო პრაქტიკას ეყრდნობა. კანონი ითვალისწინებს მოქნილ საგადასახადო რეჟიმს და სხვა ფინანსურ ინიციატივებს მცირე ფერმერებისთვის, ბაზარზე ორიენტირებული კოოპერატივების შესაქმნელად. საქართველოში ფერმერთა უდიდეს ნაწილს მცირე მეურნეობები აქვს, რაც მათ ფართომასშტაბიან ეკონომიკაში ჩართვასა და ბაზრებზე შეღწევაში ხელს უშლის. ასე რომ, კოოპერატივებს შეუძლია ითამაშონ უმნიშვნელოვანესი როლი სექტორის მოდერნიზაციასა და პროდუქციის დახვეწაში. ახალი კანონი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს შექმნას, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის მხარდაჭერას განახორციელებს. მცირე მეურნეობის მქონე ფერმერების კოოპერატივებში გაერთიანების მხარდაჭერა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPARD–ის პროგრამის (40 მლნ ევრო) ძირითადი მიზანია. გათვალისწინებულია პროგრამიდან გრანტების გამოყოფა ახალი ფერმერული ჯგუფების ხელშესაწყობად. გამოიყოფა ტექნიკური დახმარება სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

Download pdf

# სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის ევროკავშირის მხარდაჭერამ უკვე გამოიღო მნიშვნელოვანი შედეგი

2013 წლის იანვრიდან სურსათის ეროვნული სააგენტოს დასახმარებლად ევროკავშირი ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური მშენებლობის პროგრამის პირველ ფაზას ახორციელებს. პროგრამა 2.3 მლნ ევროს ღირებულების გრანტით ფინანსდება და მისი მიზანია სააგენტოს ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდა და სურსათის უვნებლობის სისტემის რეფორმირებაა, რომ შესაძლებელი გახდეს სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების ევროკავშირთან ჰარმონიზება. არსებული კანონმდებლობის დახვეწის მიზნით ევროპელი ექსპერტები სააგენტოსთან ერთად მუშაობენ. მეტიც, პროგრამა ეხმარება საქართველოს, განახორციელოს ძირითადი პროგრამები ვეტერინარიის, სურსათის უვნებლობის და მცენარეთა დაცვის სფეროებში, ბრუცელოზის კონტროლის პროგრამის, ცხოველთა იდენტიფიცირებისა და სურსათის ინსპექტორის ტრეინინგის სფეროებში. ამ დახმარების წყალობით 2013 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში სააგენტომ შეძლო საქმიანობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მაგალითად, წინა წელთან შედარებით სურსათის ინსპექტირება გაორმაგდა.

## ვაჭრობასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ღონისძიებები:

- 26 ნოემბერი – სემინარი სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების შესახებ. ეს ღონისძიება ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერაა ორგანიზებული. დამატებით ინფორმაციას მოგაწოდებთ.
- 28-29 ნოემბერი – ვილნიუსის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი. ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პარაფირება.

ელექტრონული ბიულეტენი მხოლოდ ელექტრონული სახით ვრცელდება. შეგიძლიათ გადაუგზავნოთ ბიულეტენი დაინტერესებულ მკითხველს ან გადაუგზავნოთ ევროკავშირის წარმომადგენლობის ატაშეს ანტონიო ლოპარკოს დაინტერესებული მკითხველის მისამართები: antonio.lo-parco@eeas.europa.eu